საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №01

ქ. ბათუმი **26 თებერვალი, 2018 წ.**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგიერთი ფაკულტეტის რეორგანიზაციის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 თებერვლის №24 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. 2018-2019 სასწავლო წლიდან განხორციელდეს ბსუ-ს ზოგიერთი ფაკულტეტის რეორგანიზაცია შემდეგნაირად:

1.1 განათლების ფაკულტეტისა და ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის გაერთიანების გზით ჩამოყალიბდეს **„ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი“,** თანდართული დარგობრივი დეპარტამენტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების გათვალისწინებით (დანართი 1);
1.2. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და იურიდიული ფაკულტეტის გაერთიანების გზით ჩამოყალიბდეს **„იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი“,** თანდართული დარგობრივი დეპარტამენტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების გათვალიწინებით (დანართი 1).
2.წინამდებარე გადაწყვეტილების აღსრულებისა და სასწავლო პროცესის უწყვეტობის პრინციპების გათვალისწინებით ეთხოვოს ბსუ-ს მართვის ორგანოებსა და რეორგანიზებული ფაკულტეტების მართვის ორგანოებს გამოსცენ შესაბამისი სამართლებრივი აქტები.
3. გადაწყვეტილება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ფაკულტეტებს, სტრუქტურულ ერთეულებს და განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი **დ. ბარათაშვილი**

დანართი 1

ფაკულტეტი	*დარგობრივი დეპარტამენტი*	*საგანმანათლებლო პროგრამა*
იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა	სამართლის	**საბაკალავრო პროგრამა** - სამართალმცოდნეობა **სამაგისტრო პროგრამა** - სამართალი
	სოციალურ მეცნიერებათა	**პროფესიული პროგრამები:** 1) ბეჭდური და ონლაინგამოცემები 2) რეპორტიორი (IV საფეხური); 3) ბიბლიოთეკარი (IV საფეხური); 4)კორესპონდენტი (III საფეხური, საგნობრივი); **საბაკალავრო პროგრამა** -ფსიქოლოგია; **სამაგისტრო პროგრამა** - კლინიკური ფსიქოლოგია
	საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	**საბაკალავრო პროგრამები:** 1) საერთაშორისო ურთიერთობები; 2) ევროპისმცოდნეობა.
ზუსტ მეცნიერებათა და განათლების	პედაგოგიურ მეცნიერებათა	**პროფესიული პროგრამები:** 1) ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი; (V საფეხური, მოდულური); **საბაკალავრო პროგრამა** - განათლება **სამაგისტრო პროგრამები:** 1) განათლების ადმინისტრირება; 2) განათლების მენეჯმენტი. **სადოქტორო პროგრამა** -განათლება
	ფიზიკის	**საბაკალავრო პროგრამა** - ფიზიკა **სამაგისტრო პროგრამა** - რადიოფიზიკა

		სადოქტორო პროგრამა - ფიზიკა
	<u>მათემატიკის</u>	**საბაკალავრო პროგრამა** - მათემატიკა, **სამაგისტროპროგრამა** - მათემატიკა **სადოქტორო პროგრამები:** 1) გეომეტრია-ტოპოლოგია, 2) თანამედროვე ალგებრა (ნახევარჯგუფები)
	<u>კომპიუტერულ მეცნიერებათა</u>	**პროფესიული პროგრამები:** 1) ვებინტერფეისის დეველოპერი (III საფეხური, მოდულური), 2)ვებინტერფეისის დიზაინერი (III საფეხური, მოდულური) 3) ვებპროგრამისტი (V საფეხური, მოდულური), 4) კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი (III საფეხური, საგნობრივი), 5) პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპერი (V საფეხური), **საბაკალავრო პროგრამა** - კომპიუტერული მეცნიერებები **სამაგისტრო პროგრამა** - ბიზნესინფორმატიკა